

პროგრამის სახელწოდება: მცირე ბიზნესის მართვა / Small Business Management

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი 020326 (Master of Small Business Management)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა.

პროგრამის მიზნები:

მცირე ბიზნესის სფეროსათვის მოამზადოს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრები, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ მცირე ბიზნესის მართვის ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალი იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის ორიგინალური გზების დასახვის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ: მცირე ბიზნესის ფუნქციონირების, კვლევის მეთოდების, თანამედროვე ბიზნესის სტრატეგიების შემუშავებისა და საინვესტიციო მენეჯმენტის; მმართველობითი აღრიცხვის; მცირე ბიზნესის მარკეტინგული საქმიანობის, რეკლამის ორგანიზებისა და წარმართვის, ფინანსური და ინოვაციური მენეჯმენტის სისტემური და ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ – ჩვევები. ბიზნეს საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების ნორმებისა და პრაქტიკაში მათი ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში გამოყენების უნარი; ბიზნეს საქმიანობაში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებისა და ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობის კომპლექსური გააზრების უნარი; დამოუკიდებლად მცირე ბიზნესის მართვის სფეროში კვლევების დაგეგმვის, წარმართვის, კრიტიკული ანალიზით არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი არგუმენტებისა და დასკვნების პროფესიულ საზოგადოებასთან წარდგენის, ახალი ღირებულების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი.

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ შრომისა და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას – სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში), ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატურ აღქმას, სწრაფ ადაპტირებასა და კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების რეალიზაციასა და კარიერულ წინსვლას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები (მ.შ. ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში) შედეგების საფუძველზე.

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (საერთაშორისო აღიარებული ორგანიზაციების მიერ გაცემული) ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება, ან ფლობს შოთა მესხიას

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის მიერ გაცემულ B2 (ან უფრო მაღალი) დონის სერტიფიკატს.

საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სწავლის შედეგები:

დარგობრივი უნარები:

სამაგისტრო კურსის დამთავრების შემდეგ აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა მცირე ბიზნესის მართვაში. შეუძლია სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ცვალებად გარემო პირობებში; ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობის აღწერა. შეფასება და მართვა. ბაზრის მარკეტინგული კვლევა და სარეკლამო საქმიანობის განხორციელება. თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით შეუძლია ახალი ორიგინალური იდეების შემუშავება

აგნობიერებს მცირე ბიზნესის თავისებურებებს, ორგანიზაციული ქცევის გამოწვევებს და შესაძლებლობებს, ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების ნორმებს, ცალკეული სფეროების თავისებურებებს. აგნობიერებს თანამედროვე ბიზნესის სირთულეებსა და მათი დაძლევის გზებს.

მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი მიღებული თეორიული ცოდნით შეძლებს შემდეგი პრაქტიკული საქმიანობების განხორციელებას: მცირე ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემის ანალიზს, შეფასებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში საინვესტიციო პოლიტიკის, მარკეტინგული კვლევისა და სტრატეგიის შემუშავებას, ბიზნეს გარემოს შესაბამისად. შეძლებს ქვეყნის ეკონომიკაში მცირე ბიზნესის როლის შეფასებას. მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი შეძლებს ფირმის მოქნილობის უზრუნველყოფას და სტრატეგიული პოზიციების შერჩევას. შეუძლია ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი სამართლებრივი პრობლემების პრევენცია, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

ზოგადი კომპეტენციები:

მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრს ექნება დარგთან დაკავშირებული რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრს შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტით საკუთარი დასკვნების, არგუმენტების თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარდგენა აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის.

მაგისტრატურაში მიღებული ცოდნა, კომპეტენცია და უნარები მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად წარმართოს თავისი საქმიანობა, სტრატეგიულად დაგეგმოს როგორ გააგრძელოს სწავლა, სამეცნიერო მუშაობა სპეციალობის მიხედვით. აქვს სწავლის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალი დონე.

საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. კონკურენტულ გარემოში იმოქმედოს ბიზნესის წარმოების სამართლიანი ხერხები, ღირებულებების დამკვიდრებაში მონაწილეობა. ადამიანზე ორიენტირებული ბიზნეს გარემოს შექმნაში მონაწილეობის მიღება.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტებისა და კვლევითი კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილითი გამოცდა, ზეპირი/წერილითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღმატებოდეს შუალედური შეფასებების 60 %-ს და დასკვნითი გამოცდის 60%-ს. მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფეროები:

მცირე ბიზნესში, კერძო და საჯარო სექტორში მართვის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში წამყვან მენეჯერულ პოზიციებზე.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრის შეუძლია სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამაზე.

პროგრამის სტრუქტურა:

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

საავლდებულო სასწავლო კურსების 62 კრედიტი.

არჩევითი საგნების 28 კრედიტს.

საწარმოო პრაქტიკის 5 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო 25 კრედიტი.